

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიებს

აკადემიური პოზიციების დასაკავებლად

1. კონკურსი ცხადდება შემდეგ მიმართულებებზე:

1.1 კომპიუტერული მეცნიერებები - ასოცირებული პროფესორი;

1.2 პროგრამული ინჟინერია - ასოცირებული პროფესორი;

1.3 ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები - ასოცირებული პროფესორი;

1.4 პროგრამირების პარადიგმები - ასისტენტ პროფესორი;

1.5 ელექტრო-ინჟინერია - ასისტენტ-პროფესორი.

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კომპიუტერული მეცნიერება - მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან მაგისტრის ხარისხი და პედაგოგიური/პრაქტიკული/კვლევითი მუშაობის არანაკლებ 7 წლის გამოცდილება; ასევე :

- კვანტური ალგორითმების კვლევებში და სწავლებაში არსებული გამოცდილება;
- დისკრეტული მათემატიკისა და თეორიული ინფორმატიკის მიმართულებით ლექციების წაკითხვის გამოცდილება;
- პროგრამირებაში 10 წლიანი გამოცდილება;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა;
- უპირატესობა მიენიჭება საზღვარგარეთ მიღებულ ცოდნას და გამცდილებას.

2.2 ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პროგრამული ინჟინერიის მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი, ან მაგისტრის ხარისხი და პედაგოგიური/პრაქტიკული/კვლევითი მუშაობის 7 წელზე მეტი გამოცდილება; ასევე

- პროგრამული აბსტრაქციების სწავლების გამოცდილება;
- საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება;
- პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიაში მუშაობის მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება;

- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა;
- უპირატესობა მიენიჭება საზღვარგარეთ მიღებულ ცოდნას და გამცდილებას.

**2.3 ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი, ან მაგისტრის ხარისხი და პედაგოგიური/პრაქტიკული/კვლევითი მუშაობის 7 წელზე მეტი გამოცდილება; ასევე

- საერთაშორისო ოლიმპიადებში მოსწავლეებისა და სტუდენტების პროგრამირებაში მომზადების ხანგრძლივი გამოცდილება;
- ალგორითმებისა და კომპიუტერული არქიტექტურის მიმართულებით სწავლების გამოცდილება;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა.

**2.4. ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პროგრამირების პარადიგმების** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი, ან მაგისტრის ხარისხი და ასევე:

- საერთაშორისო გამოცდილება;
- უპირატესობა მიენიჭება კანდიდატის ისეთ გლობალურ კომპანიებში მუშაობის მინუმუმ 5 წლიან გამოცდილებას, როგორცაა მაგალითად : Google, Facebook, Amazon, Microsoft ;
- დისტრიბუციულ სისტემებში მუშაობის და სწავლების გამოცდილება;
- პროგრამირების პარადიგმების მიმართულებით სწავლების გამოცდილება;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა.

**2.5. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ელექტრო-ინჟინერიის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და ასევე:

- აღნიშნული მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;
- უპირატესობა მიენიჭება მიკროელექტრონიკის სფეროში კვლევით საქმიანობას;
- აღნიშნული მიმართულებით პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება;

- უპირატესობა მიენიჭება ნახევარგამტარებთან მუშაობას და მასალათმცოდნეობის დარგში გამოცდილებას;
- აღნიშნული მიმართულებით სამეცნიერო პროდუქტიულობის არსებობა სტატიების და სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის სახით;
- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება ისეთ საგანში როგორცაა - ნახევარგამტარული მოწყობილობები;
- საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა;
- უპირატესობა მიენიჭება საზღვარგარეთ მიღებულ ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

3. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

4. განცხადებების მიღება იწარმოებს **2025 წლის 4 აპრილიდან - 2025 წლის 9 აპრილის ჩათვლით.**

5. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

- 5.1. ბიოგრაფია (CV);
- 5.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
- 5.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
- 5.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- 5.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;
- 5.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

6. დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - <https://form.jotform.com/242523125222443>

7. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება საჭიროების შემთხვევაში საჩვენებელი ლექცია ან გასაუბრება.
8. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2025 წლის 10 აპრილიდან - 2025 წლის 14 აპრილის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2025 წლის 15 აპრილიდან - 2025 წლის 18 აპრილის ჩათვლით**.
9. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირებთან ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე.

#### **10.საკონტაქტო ინფორმაცია:**

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი

ვებ-გვერდი: [www.freeuni.edu.ge](http://www.freeuni.edu.ge)

ელ.მისამართი: [Vacancy@freeuni.edu.ge](mailto:Vacancy@freeuni.edu.ge)